Nexia

საგადასახადო სიახლეები

ივნისი, 2023

სიტუაციური სახელმძღვანელოები

მიმდინარე წლის 8 ივნისს შემოსავლების სამსახურმა გამოსცა სიტუაციური სახელმძღვანელოები შემდეგ საკითხებზე:

- საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება ფიზიკურ პირზე N 1518
- ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისას N 2328
- ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულება N2435

საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება ფიზიკურ პირზე N 1518

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკური პირი ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავებას არამეწარმე ფიზიკურ პირზე. ამასთან, აღნიშნული პირი არ ახორციელებს ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს;
საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მიზნით გამქირავებელს შემოსავლების სამსახურში არ წარუდგენია განცხადება ფართის გაქირავების თაობაზე;
ფიზიკურმა პირმა საცხოვრებელი ფართის გაქირავებით მიღებული შემოსავალი დაბეგრა 5%-ით.

შეფასება

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება. საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

"გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N: 996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 111[2] მუხლის თანახმად:

- ფიზიკური პირი, რომელიც საცხოვრებელ ფართობს აქირავებს საცხოვრებელი მიზნით და არ ახორციელებს ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს, აღნიშნულის თაობაზე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს განცხადებას დანართი №VII2-01 შესაბამისად;

- საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით იურიდიულ პირზე გაქირავებით მიღებულ შემოსავალზე, რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, საგადასახადო

© 2023 Nexia Georgia

აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან 5-პროცენტიანი განაკვეთით დაბეგვრა არ გავრცელდება, თუ გამქირავებელი პირის მონაცემები, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის არ არის შეტანილი რეესტრში.

საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში ინფორმაციის აუსახველობის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთის გამოყენების უფლება შეზღუდულია მხოლოდ იურიდიულ პირზე გაქირავების შემთხვევაში. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების თაობაზე მონაცემების გამქირავებელ პირთა რეესტრში აუსახველობის ფაქტი არ უნდა გახდეს ფიზიკური პირისთვის მიღებული შემოსავლის 20%- იანი განაკვეთით დაბეგვრის საფუძველი.

ღონისძიებები

საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრში მონაცემების რეგისტრაციის მიზნით შემოსავლების სამსახურში განცხადების წარუდგენლობისათვის პირი დაჯარიმდება 100 ლარის ოდენობით სსკის 291-ე მუხლის შესაბამისად.

ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისას N 2328

ფაქტობრივი გარემოებები

შპს-მ 2022 წლის დეკემბერის თვეში წარმოადგინა 2019 წლის იანვრის თვის დღგ-ის დაზუსტებული დეკლარაცია;
შპს-მ 2023 წლის იანვარში წარმოადგინა 2019 წლის თებერვლისა და მარტის თვეების დღგ-ს დეკლარაციები, ასევე 2018 წლის დეკემბრის დღგ-ს დაზუსტებული და 2018 წლის მოგების გადასახადის დეკემბრის თვის პირველადი დეკლარაციები.

შეფასება

სსკ მე-4 მუხლის (ხანდაზმულობის ვადა) 1-ლი ნაწილის თანახმად "გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახდო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული", ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად "ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადა აითვლება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან." ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, "ამ მუხლის პირველი, მე-3, და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გრძელდება 1 წლით, თუ ამ ვადების გასვლამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები და გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა შესაბამისი პერიოდის საგადასახადო დეკლარაცია (მათ შორის, შესწორებული დეკლარაცია)...".

© 2023 Nexia Georgia

ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო ორგანოს მიერ გაგრძელებულია 1 წლით, 2019 წლის პერიოდის ყველა საგადასახადო დეკლარაციაზე 2023 წლის განმავლობაში, რადგან დღგ-ის 2019 წლის იანვრის დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენა შესაბამისობაშია საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნასთან, ანუ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებისათვის დადგენილ პირობასთან - ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე დარჩენილი იყო 1 წელზე ნაკლები. საწარმოს მიერ ვადის დარღვევით წარმოდგენილი 2019 წლის თებერვლის და მარტის დღგ-ის დეკლარაციების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების ბარათზე აღირიცხვა საგადასახადო სანქციებთან (ჯარიმა, საურავი) ერთად განახორციელდება საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე და "გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ" შემოსავლების სამსახურის უფროსის 18.05.2016 წლის N13446 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდური მითითების გათვალისწინებით.

ღონისძიებები

შპს-ს 2018 წლის დეკემბერის დღგის (დაზუსტებული) და 2018 წლის მოგების გადასახადის (პირველადი) დეკლარაციების მიხედვით საგადასახადო ვალდებულება და სანქციები არ დაერიცხება და არ აისახება ბარათზე.
შპს-ს 2019 წლის თებერვლის და მარტის დღგ-ის დეკლარაციების ვადის დარღვევით წარდგენის გამო, საგადასახადო ვალდებულებებთ ან ერთად დაერიცხება ჯარიმა სსკ-ის 274-ე მუხლის მიხედვით, ამასთან ამ დეკლარაციების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებები ს და სანქციების ბარათზე ასახვა განხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით.

ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულება N2435

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკურ პირს კომერციული ფართი იჯარით აქვს გაცემული საწარმოზე, იჯარის ყოველთვიური თანხა შეადგენს 1180 ლარს, საიდანაც საწარმო აკავებდა საშემოსავლო გადასახადს 236 ლარს (1180 x 20%).
საანგარიშო წლის ოქტომბრის თვეში გაირკვა, რომ ფიზიკურ პირს დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშვა 1 მარტიდან, შესაბამისად მან მიმართა საგადასახადო ორგანოს იმავე წლის მარტის თვიდან დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნით.
საწარმომ ოქტომბრის თვიდან შეწყვიტა საშემოსავლო გადასახადის დაკავება გადახდის წყაროსთან. ამასთან, იჯარის საკომპენსაციო თანხა (1180 ლარი) არ შეცვლილა.
ფიზიკურმა პირმა საანგარიშო წლის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის ერთობლივ შემოსავალში ასახა იჯარის თანხა - 12360 ლარი, მ.შ მარტი - დეკემბრის თვეების 10000 ლარი (1180 /1.18 x 10) ასახა დღგ-ის გარეშე, ხოლო იანვარი - სექტემბრის თვეების საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშების მიზნით წყაროსთან (თვეში 1180 ლარიდან)

© 2023 Nexia Georgia

დაკავებული გადასახადი - 2124 ლარი (236 x 9) ჩაითვალა.

შეფასება

სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებული არ არის. სსკ-ის 153-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული, წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით.
იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური პირისათვის მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზრაურებისას აღნიშნული პირი არ იყო რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად და ცვლილების გამომწვევი გარემოება დადგა საწარმოს მიერ დეკლარაციების წარდგენის შემდგომ, საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების პერიოდებში (საანგარიშო წლის მარტი - სექტემბერი) წარდგენილი დეკლარაციები დაზუსტებას არ ექვემდებარება.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

© 2023 Nexia Georgia

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ
(პროექტი)

2023 წლის 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საქართველო მასპინძლობს ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (შემდგომ - უეფა) ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, გაიმართება 16 მატჩი. შესაბამისად, საქართველოს ეწვევა ტურნირში მონაწილე 8 ქვეყნის: გერმანიის, ინგლისის, ჩეხეთის, ისრაელის, პორტუგალიის, ჰოლანდიისა და ბელგიის, ასევე, მიმდინარე ჩემპიონატის ფარგლებში გამოვლენილი ფინალისტი ქვეყნის ნაკრებები.

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის ჩატარებისთვის შეიქმნას დაბეგვრის საშეღავათო პერიოდი. აღნიშნული, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სანაკრებო შეჯიბრების შეუფერხებლად გამართვას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის, ეკონომიკის სტიმულირებას და ტურისტული პოტენციალის ზრდას.

ევროპის ჩემპიონატის ჩატარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც გულისხმობს მოწვეული სტუმრებისა და გუნდების ხელმძღვანელობის მასპინძლობასა და მათთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას. გასათვალისწინებელია, რომ ამ ჩემპიონატის ფინალური მატჩიც ჩატარდება საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ბათუმში. მატჩს დაესწრება უამრავი სტუმარი და ოფიციალური პირი, როგორც მონაწილე ქვეყნებიდან, ისე ფეხბურთის მმართველი ევროპული და მსოფლიო ორგანიზაციებიდან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებისათვის, ასევე შეჯიბრებაში ჩართული სხვა მხარეებისათვის.

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის - უეფა-ს მოთხოვნის საფუძველზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი სახის დამატებითი გადასახადი არ უნდა დაეკისროს ჩემპიონატის ორგანიზატორებს, მის მონაწილეებს და მასპინძელ მხარეს.

მსოფლიოში დამკვირდებული პრაქტიკის თანახმად, ჩემპიონატების ორგანიზების დროს წესდება ერთჯერადი შეღავათები და, შესაბამისად, ქვეყანაში შემსვლელი გუნდი არ იბეგრება საბაჟო საზღვარზე საბაჟო მოსაკრებლით ან/და დღგ-ით. ასევე, მნიშვნელოვანია სატელევიზიო გადაღების უზრუნველყოფა. მატჩებს გააშუქებს, როგორც მონაწილე ქვეყნების ტელევიზიები, ისე სატელევიზიო კავშირი - „Eurosport“. ეს მოითხოვს დიდი რაოდენობით სპეციალური ტექნიკის (პე-ტე-ესები, კამერები, ლედბორდები) დროებით შემოტანასა და მონტაჟს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს კანონში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ განხორციელდეს ერთჯერადი ხასიათის საშეღავათო ცვლილებები.

© 2023 Nexia Georgia

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 135-ე-140-ე ნაწილები:

„**135.** ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (შემდგომ - უეფა) 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში:
ა) უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
ბ) უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა თავისუფლდება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან;
გ) უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის იმპორტისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები;
დ) უეფა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოში გამოყენებულ ქონებაზე თავისუფლდება ქონების გადასახადისგან.

136. დანიშნული პირის მიერ უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან.
<u>შენიშვნა:</u> დანიშნული პირი არის უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დანიშნული ნებისმიერი არარეზიდენტი პირი, მათ შორის, უცხო ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუნდის წევრები და პერსონალი (მაგალითად, მოთამაშე, მწვრთნელი და სხვა), უეფას ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი.

137. უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპების მატჩებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში არ წარმოეშობა ამ კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ვალდებულება. ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის მომსახურების გაწევა არ ექვემდებარება დღგ-ით უკუდაბეგვრას.

138. უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ორგანიზება და ჩატარება არ წარმოშობს საქართველოში მუდმივ დაწესებულებას.

139. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:
ა) პირის მიერ უეფასთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ან/და დანიშნული პირისთვის იმ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
ბ) უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებზე და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია.

140. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს ამ მუხლის 134-ე-140-ე ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესი.“.

© 2023 Nexia Georgia

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №13017
12.06.2023

ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ფორმის და წესის დამტკიცების შესახებ

შემოსავლების სამსახურმა პორტალზე დაამატა ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, რომლის წარმოებაც ევალება პირს, რომელიც ვაჭრობს ხის მასალით ან იყენებს საქმიანობაში. ჟურნალში გადასახადის გადამხდელმა თავად უნდა ასახოს ხის მასალის საწყისი ნაშთი, ხოლო ყოველ შემდგომ ოპერაციაზე შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები ხე-ტყის შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. კერძოდ, ნაშთის ზრდისას - იმპორტის საბაჟო დეკლარაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე/მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა და სასამართლოს განკარგულების საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის საკუთრებაში მიღება. ხოლო ნაშთის შემცირებისას - ხე-ტყის სასაქონლო შეტყობინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

ა) ხე-ტყის აღრიცხვის განახლებული რეგულაციით, მათ შორის, ავტორიზებულ გვერდზე არსებული ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული მოდულით („ხე-ტყის აღრიცხვა“) და ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის ახალი წესით, იხელმძღვანელოს 2023 წლის 15 ივნისიდან;

ბ) მის საკუთრებაში 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული ხე-ტყის ნაშთების შესახებ ინფორმაცია, „ხე-ტყის აღრიცხვის“ ელ. მოდულის მეშვეობით (ჩანართი: „საწყისი ნაშთები“), წარმოადგინოს 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით. ამასთან, 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით ნაშთში იგულისხმება ხე-ტყის არსებული ნაშთები 2023 წლის 15 ივნისის 00:01 საათის მდგომარეობით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულებზე:

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N 13017

ფინანსთა მინისტრის ბრძანება N181

© 2023 Nexia Georgia

Nexia

პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

გელა მღებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853
E-Mail: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009
E-Mail: david.mamrikishvili@nexia.ge